სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/209

ქ. თბილისი

11 დეკემბერი 2020 წ.

2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №124 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის №1131254 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის №01-05-02/36 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი" (იხ. დანართი);
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

1. „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №124 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის №1131254 ბრძანებით სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნები, რომელიც უზრუნველყოფს 759 სტიპენდიანტისთვის თვეში 150 ლარის გადაცემას, განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისიები სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:

   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81%-სა და მეტს;

   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.